ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49. 49251506**
თარიღი:**30/05/2025**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით საბავშვო ბაღის განსათავსებლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.35.196 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების 6264 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (N1-საერთო ფართით 1358 კვ.მ, N2 -საერთო ფართი- 20 კვ.მ)გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 მაისის N48-482514188 წერილი, რომელშიც ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით საბავშვო ბაღის განსათავსებლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.35.196 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების 6264 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (N1-საერთო ფართით 1358 კვ.მ, N2 -საერთო ფართი- 20 კვ.მ)გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით საბავშვო ბაღის განსათავსებლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.35.196 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონების 6264 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (N1-საერთო ფართით 1358 კვ.მ, N2 -საერთო ფართი- 20 კვ.მ) გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

სერგო კირკიტაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი